მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი N7

ქ. მარტვილი 2022 წლის 8 დეკემბერი

სხდომის დაწყების დრო 12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ელიზბარ ახვლედიანი - კომისიის თავმჯდომარე
2. ზაზა რუხაია
3. მაია გაწერელია
4. ირინა გადელია
5. ბექარ კუკანია
6. მიხეილ ნაჭყებია
7. პაატა პირტახია
8. მაგდა შირავა
9. ვლადიმერ დანელია

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ; /მომხსენებელი-ელიზბარ ახვლედიანი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/
2. ფრაქციის ,,მარტვილი-საქართველოსთვის“ თავმჯდომარის აკაკი ხუნწელიას წერილის განხილვის თაობაზე.
   /მომხსენებელი-ელიზბარ ახვლედიანი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/

1. მომხსენებელმა ელიზბარ ახვლედიანმა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი - მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;

   კომისიის წევრება კითხვები დაუსვეს და მოისმინეს, შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსის როლანდ წულაიას, პასუხები სოციალური დახმარების გაცემის წესში განხორციელებული ცვლილებებისა და თანაგადახდის გაზრდასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს:

ელიზბარ ახვლედიანი, მაგდა შირავა, მიხეილ ნაჭყებია.

გადაწყვიტეს მიზანშეწონილად ჩაითვალოს აღნიშნული საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე – 9

წინააღმდეგი – 0

თავი შეიკავა – 0

2.მომხსენებელმა ელიზბარ ახვლედიანმა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი ფრაქციის ,,მარტვილი-საქართველოსთვის“ თავმჯდომარის აკაკი ხუნწელიას წერილის განხილვის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარემ ელიზბარ ახვლედიანმა აღნიშნა, რომ ფრაქციის ,,მარტვილი-საქართველოსთვის“ თავმჯდომარის აკაკი ხუნწელიას წერილის მიხედვით გათვალისწინებული მოთხოვნების ნაწილი უკვე შესულია მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესში, შესაბამისად თავი შეიკავეს აღნიშნული საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანისგან.

აზრი გამოთქვეს:

ელიზბარ ახვლედიანი, ირინა გადელია, მაგდა შირავა.

გადაწყვიტეს თავი შეიკავონ აღნიშნული საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე. კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე – 0

წინააღმდეგი – 0

თავი შეიკავა – 7

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე /ე. ახვლედიანი/

08.12.2022